**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის**
**პრეზიდენტის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 99 24 სექტემბერი 2026 წ. თბილისი

## სპმთპ-ის XIII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) წესდების მე-9 მუხლის 9.3 პუნქტის, მე-7 მუხლის 7.1, 7.4, 7.7 პუნქტების, სპმთპ-ის ყრილობის რეგლამენტის მე-15 მუხლის 15.1 და 15.2 პუნქტების, სპმთპ-ის საარჩევნო დებულების I მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, აგრეთვე სპმთპ-ის №125 აღმასრულებელი საბჭოს №125/7 დადგენილების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) XIII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების თარიღად განისაზღვროს **2026 წლის 24 ოქტომბერს,** ყრილობის დელეგატთა რეგისტრაციის დაწყების დრო - 10 სთ; ყრილობის დაწყების დრო - 12 სთ;
2. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) XIII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების ადგილად განისაზღვროს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **სტუ** (ქ. თბილისი, კოსტავას 77);
3. ზემოაღნიშნულ ბრძანებასთან ერთად გამოქვეყნდეს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს №125 სხდომაზე მიღებული, სპმთპ-ის XIII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დღის წესრიგის პროექტი (დადგენილება №125/8 თან ერთვის);
4. დაევალოს, სპმთპ-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს მარინა ალუღიშვილს სპმთპ-ის XIII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ ინფორმაციის, სპმთპ-ის პრეზიდენტის ბრძანებისა და დღის წესრიგის გამოქვეყნება სპმთპ-ის ვებ-გვერდზე www.educator.ge;
5. დაევალოს, სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს, სტრუქტურული ქვედანაყოფების თავმჯდომარეებსა და კანცელარიის უფროსს (ქეთევან ვადაჭკორია), უზრუნველყონ ყრილობის დელეგატთა ინფორმირება;
6. წინამდებარე დადგენილების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპმთპ-ის პრეზიდენტი.

**სპმთპ-ის პრეზიდენტი** **მაია კობახიძე**